

გამოუყენებლობა; ადმინისტრაციული რესურსის არამართლზომიერი გამოყენება; კორუფცია და ამომრჩეველთა მოსყიდვის აკრძალვა; კენჭისყრის პროცესის ხელშეწყობა; საარჩევნო პროცესისა და მასალების უსაფრთხოება; არჩევნების შედეგების აღიარება; კომუნიკაცია და ურთიერთთანამშრომლობა ჩართულ მხარეებთან და სხვა.

ამავდროულად მნიშვნელოვანია ქვევის კოდექსის ხელმომწერმა პარტიებმა პატივი სცენ არჩევნებში მონაწილე სხვა სუბიექტებსა თუ მოქალაქეთა უფლებებს და დაიცვან კარგი პრაქტიკა.

5. რა სანქციები ამოქმედდება კოდექსის დარღვევის შემთხვევაში?

რეაგირების ეფექტური მექანიზმის გარეშე, ქვევის კოდექსი მხოლოდ ფორმალური სახის დოკუმენტს ემსგავსება ამიტომ სასურველია იგი მოიცავდეს კეთილგონივრულ/ადექვატურ სანქციებს. ყველაზე მთავარი სანქცია, რაც თითქმის ყველა შემთხვევას შეეხება, შეიძლება იყოს საჯარო გაცხადება, რომ პარტიამ კოდექსი ვერ შეასრულა, ან იმ პიროვნებებმა ვერ დაიცვეს კოდექსი, რომლის ქვევაზეც თავად პარტიას გააჩნია გარკვეული პასუხისმგებლობა. სანქციის ტიპი შეიძლება განსხვავებული იყოს კონკრეტული შემთხვევებიდან გამომდინარე.

რა სანქციაც არ უნდა იყოს დადგენილი, პარტიასა და მის წევრებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა ნათლად გაიაზრონ თავიანთი ვალდებულებები. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, რომ როგორც ვალდებულებები, ასევე სანქციები მოწოდებული უნდა იყოს ნათლად გამომხატული კანონიერი ფორმით.

6. ქვევის კოდექსის განხორციელება

იმისთვის, რომ კოდექსი ეფექტური იყოს, პარტიები მას უნდა ემორჩილებოდნენ და აღიქვამდნენ არა როგორც უბრალოდ მექანიკური წესების ერთიანობას, არამედ როგორც პრინციპების ერთობლიობას, რომელსაც პატივს უნდა სცემდნენ და იცავდნენ. არც ერთ კოდექსს არ შეუძლია გაითვალისწინოს და წარმოადგინოს შესაფერისი პასუხი ყველა სიტუაციაზე, რომელიც შეიძლება არჩევნების მსვლელობისას განვითარდეს. ყველა შემთხვევაში, კოდექსის იმპლემენტაცია საღი აზრითა და კეთილსინდისიერებით უნდა მოხდეს.

პარტიებმა, რომლებიც ქვევის კოდექსის თაობაზე მოლაპარაკებას გამართავენ, უნდა აიღონ ვალდებულება, რომ კოდექსის მიღების შემდეგ რეგულარულად შეხვდებიან, რათა საარჩევნო კამპანიის პერიოდში კოდექსზე დაკვირვების შედეგები განიხილონ. ასეთი სახის შეხვედრებში მონაწილეობის ვალდებულება შეიძლება თავად კოდექსშივე განისაზღვროს.

7. ვინ იქნება ქვევის კოდექსის შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელი ორგანო. სასურველია კოდექსითვე განისაზღვროს ზედამხედველი ორგანოს როლი და პასუხისმგებლობები.